

ბიომრავალფეროვნების დაცვა და მართვა საქართველოსა და ევროკავშირის მიღმომავალი

ბიომრავალფეროვნების¹ დაკარგვის საფრთხე დღეს საგანგაშოა მსოფლიოს მასშტაბით. გაეროს დოკუმენტში ეკოსისტემების შეფასება ათასწლეულების მიჯნაზე (Millennium Ecosystem Assessment, 2005) ნათქვამია, რომ ადამიანის მიერ გამოწვეული ჰაბიტატების ფრაგმენტაციას ყველაზე დიდი მასშტაბით ადგილი აქვს ევროპის კონტინენტზე. დასავლეთ ევროპის




ტყეების მხოლოდ 1-3% მიეკუთვნება ადამიანების მიერ ხელშეუხებელის კატეგორიას; 1950 წლის შემდეგ ევროპამ დაკარგა წყალჭარბი ტერიტორიების ნახევარზე მეტი; სახეობების ღონეზე ევროპაში გადაშენების პირას დგას ძუძუმწოვრების 42%, ფრინველების 43%, პეპლების 45%, ამფიბიების 30%, ქვეწარმავლების 45% და მტკნარი წყლის თევზების 52%. ევროპის მცენარეთა 800 სახეობა გლობალური გადაშენების საფრთხის წინაშე დგას. სახეობათა და ეკოსისტემების ასეთი დაკარგვა შესაბამისად არის ასახული გენეტიკური მრავალფეროვნების დაკარგვაში.

ბიომრავალფეროვნების დაკარგვასთან ერთად რისკის ქვეშ დგება ეკოსისტემის მრავალი ფუნქციაც. გლობალური ეკოსისტემების ფუნქციონირების შედეგად მიღებული სარგებელი და პროდუქცია შეფასებულია 26 ტრილიონ ევროდ წელიწადში, რაც ორჯერ აღემატება ადამიანის მიერ გამოქვეყნებული პროდუქციის ღირებულებას. ეკოსისტემების მიერ შესრულებულ

ფუნქციებს მიეკუთვნება ჟანგბადის გამოქვეყნება, კლიმატის რეგულაცია, წყალდიდობების შეჩერება, წყლის ხარისხის და დაავადებათა კონტროლი, ნიადაგის წარმოქმნა, და სხვა, ხოლო პროდუქტებში იგულისხმება საკვები, ბოჭკო, საწვავი, მტკნარი წყალი და სამკურნალო ნედლეული. გარდა ამისა, ეკოსისტემების ფუნქციონირება დაკავშირებულია ესთეტიკურ, კულტურულ, სარეკრეაციო, ფსიქოლოგიურ და სულიერ ღირებულებებთან.

ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების დაცვის კანონმდებლობის საფუძველს შეადგენენ **ფრინველების დაცვის დირექტივა (1979)** და **ჰაბიტატების² დირექტივა (1992)**. ბუნება და ბიომრავალფეროვნება წარმოადგენენ ევროსაბჭოს 2002-2012 წლების მეექვსე გარემოს დაცვითი პროგრამის ოთხი პრიორიტეტიდან ერთ-ერთს. 2004 წელს დამტკიცდა ევროკომისიის შეტყობინება „ბიომრავალფეროვნების დაკავის შეჩერება 2010 წლისათვის და შემდგომ პერიოდში: ეკოსისტემების მდგრადი ფუნქციონირება ადამიანების საკეთილდღეოდ“. ამ ინიციატივას მსოფლიოს დაახლოებით 130 ქვეყანა შეუერთდა, მათ შორის საქართველო.

ევროკავშირის ქვეყნებში შექმნილია **დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელი „natura 2000“**, რომლის მიზანია საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვა. ქსელში ჩართულია 25.000-ზე მეტი ტერიტორია, რომელთა საერთო ფართობი მეტია, ვიდრე ერთად აღებული გერმანიისა და იტალიის ტერიტორია. გარდა „natura 2000“-სა, არსებობს ე.წ. „ზუმრუხტოვანი ქსელი“ (Emerald Network). ეს ქსელი „natura 2000“-ის ქსელთან თავსებადია, მაგრამ მასში მონაწილეობა შეუძლიათ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც არ შედიან



ევროკავშირის მიწებში და ჯერჯერობით არ აქვთ ხელი მოწერილი ბერნის კონვენციაზე; ასე ვთქვათ, შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებს მოემზადონ ევროკავშირში შესასვლელად, ვინაიდან წევრებისათვის აუცილებელია natura 2000 ქსელში ჩართვა.

¹ ბიოლოგიური მრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება) არის დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმების მრავალფეროვნება ეკოსისტემების, სახეობების და გენების ღონეზე

² ჰაბიტატი – საბინადრო გარემო, ადგილი, სადაც ბუნებრივად ბინადრობს ცოცხალი ორგანიზმი

გარდა იურიდიულისა, ევროკავშირს გააჩნია გარკვეული ფინანსური მექანიზმებიც ბიომრავალფეროვნების დასაცავად. **natura 2000** საიტების ინვესტირება ხდება ევროკავშირის სხვადასხვა ფონდების მიერ, მათ შორის ამისათვის სპეციალურად შექმნილი ფონდებითაც. 1992 წლიდან თანა-დაფინანსებულია 2750 პროექტი, რომლის თანხამ შეადგინა 1.35 მილიარდი ევრო. 2004 წ. ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ **natura 2000** პროექტების ღირებულება იქნება 6 000 000 000 ევრო წელიწადში. ევროკომისიამ **natura 2000** ქსელის ფინანსური საჭიროებების ინტეგრირება მოახდინა 2007-2013 წლების ფინანსურ პერსპექტივებში, რომლის დაფინანსება მოხდება ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურების ფონდებისა და ინიციატივების მიერ.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი ელემენტების გამოყენების საფუძველს ევროკავშირის ქვეყნებისათვის წარმოადგენს ეკოსისტემური მიდგომა³ და მდგრადი გამოყენება. ეს ცნებები განსაკუთრებით აქტუალურია ტყეებთან მიმართებაში. ორი კონცეფცია – მდგრადი ტყის მენეჯმენტი და ეკოსისტემური მიდგომა, გულისხმობენ კონსერვაციისა და მენეჯმენტის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც არიან გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მდგრადი და სარგებელს მოუტანენ დღევანდელ და მომავალ თაობებს. ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა კონფერენციამ ტყის მდგრადი მენეჯმენტი⁴ აღიარა, როგორც ტყის ეკოსისტემების მართვის ეკოსისტემური მიდგომის კონკრეტული მეთოდი.

ევროპის ქვეყნებს აქვთ ვალდებულება შეიმუშაონ და შეასრულონ ტყეების ეროვნული პროგრამები, რაშიც გამოიყენებენ შემდეგ პრინციპებს: თანამონაწილეობა; ერთიანი და ინტერ-სექტორალური მიდგომა; იტერატიული (მრავალჯერადი) და ხანგრძლივი პასუხისმგებლობა; შესაძლებლობათა გაძლიერება; ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჰარმონიზაცია; ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიებთან ინტეგრაცია; საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობა; ინსტიტუციური



3 ბიომრავალფეროვნების კონვენციის განმარტებით, ეკოსისტემური მიდგომა არის მიწის, წყლისა და ცოცხალი რესურსების ინტეგრირებული მართვის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას სამართლიანი გზით. ეკოსისტემური მიდგომის მიხედვით, ადამიანები, თავისი კულტურული მრავალფეროვნებით წარმოადგენენ მრავალი ეკოსისტემის ინტეგრალურ კომპონენტს.

4 მდგრადი სატყეო მენეჯმენტი: ტყეებისა და სატყეო მიწების მართვა და გამოყენება ისეთი გზითა და მოცულობით რომ შენარჩუნებული იქნას მათი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და მათი პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულებულ იქნას ტყის შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ლოკალურ, ნაციონალურ და გლობალურ დონეზე და არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება.

და პოლიტიკური რეფორმა; პარტნიორობა განხორციელების პროცესში; ცნობიერების ამაღლება.

საქართველო, როგორც კავკასიის შემადგენელი ნაწილი, შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის 200 გლობალურ ეკორეგიონში. ამავდროულად, ამ ბიომრავალფეროვნებას დეგრადაციისა და განადგურების საფრთხე ემუქრება, რის გამოც შეტანილია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 34 ცხელ წერტილს შორის. საქართველოს ბიომრავალფეროვნება – ეკოსისტემურ, სახეობრივ და გენეტიკურ დონეზე, საკმაო პრობლემებისა და საფრთხის წინაშე დგას.

საქართველო 1994 წელს მიუერთდა კონვენციას ”ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ”. ეს იყო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელმაც გეზი მისცა საქართველოს კურსს გარემოს დაცვისა და გამოყენების საკითხებში და გახდა ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველი. გარემოს დაცვის საფუძველები ჩაიღო საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველოს პარლამენტის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში მიღებულ ორ ათულზე მეტი საკანონმდებლო ნორმატიული აქტი. საქართველო მიუერთდა მნიშვნელოვან კონვენციებსა და შეთანხმებებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ბიომრავალფეროვნების საკითხებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, დღემდე რჩება სფეროები, რომლებიც ან საერთოდ არ რეგულირდება კანონებით (ბიოუსაფრთხოება, აგრობიომრავალფეროვნება), ან რეგულირდება არასრულფასოვნად (ბრაკონიერობა, ინვაზიური სახეობები, დაბინძურება). კანონების დიდი ნაწილი დეკლარატიული ხასიათისაა და განხორციელების მექანიზმები გაუძარტავია. დროის სხვადასხვა პერიოდში მიღებულ კანონებს შორის არსებობს სერიოზული შეუსაბამობები. განსაკუთრებით, ეს იგრძნობა 2005 წელს “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” კანონის მიღების შემდგომ. ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მიღებულმა ამ კანონმა დაარღვია მეტ-ნაკლებად არსებული ბალანსი, ერთის მხრივ გარემოს დაცვასა და მეორეს მხრივ, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასა და გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს შორის; შეიზღუდა საზოგადოების უფლება მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ყოველივე ამან უახლოეს მომავალში შესაძლებელია გააძლიეროს ბიომრავალფეროვნების მოქმედი სხვადასხვა საფრთხეები, როგორებიცაა გარემოს დეგრადაცია, დაბინძურება და სახეობების ჭარბი მოპოვება.

რეალურად, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, და საერთოდ გარემოს დაცვა, არასოდეს ყოფილა პრიორიტეტი საქართველოში და მხოლოდ დეკლარირება ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური განცხადებების დროს. როგორც წესი, ბიომრავალფეროვნების დაცვა მეორე პლანზე იწევდა, როდესაც დღის წესრიგში დგებოდა რაიმე ეკონომიკური განვითარების პროექტი (მაგ. ყულევის ტერმინალის მშენებლობა, ბაქო-

თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, წიაღის მოპოვება, ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სხვ.). სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველთვის მწირი დაფინანსება იყო გამოყოფილი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე. ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი კი იყო პასუხისმგებელი უწყებების არაკოორდინირებული და არათანამიმდევრული ქმედებები, რაც დღემდე გრძელდება. წლების მანძილზე თვალსაჩინოა კანონის აღსრულების მექანიზმების არაეფექტურობა. ამ მიზეზით უკანონო მოპოვებამ (ტყის ჭრა, ბრაკონიერობა-მათ შორის დაცულ ტერიტორიებში) კატასტროფული მასშტაბები მიიღო. კანონებს შორის შეუსაბამობები და არათანამიმდევრულობა კი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა და ქმნის კორუფციისათვის.

2005 წელს დამტკიცდა ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა⁵. გარდა იმისა, რომ ამ დოკუმენტის მიღება კონვენციის ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს, ის აყალიბებს მთავრობის ერთიან ხედვას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაში და მდგრადი გამოყენების საკითხებში.

საქართველოს მთავრობის 2004-2009 წლების პროგრამაში (რომლის დევიზია: ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით) ერთ-ერთ პირველ მიზნად მიჩნეულია საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში. რეფორმების მიმართულებებში პირდაპირაა აღნიშნული დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების (განსაკუთრებით ტყის, ფლორისა და ფაუნის იშვიათი სახეობების) დაცვის ხელშეწყობა.

“ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიული გეგმა” პრიორიტეტულად მიიჩნევს სწორედ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიული დაგეგმვასა და კოორდინირებას შესაბამის სუბიექტებს შორის. ამ დოკუმენტის მიხედვით, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა გულისხმობს მდგრადი განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და შესაბამის სუბიექტებს შორის კოორდინირების უზრუნველყოფას.

ამრიგად, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებით სტრატეგიების, მთავრობის გეგმებისა და პოლიტიკური განცხადებების დონეზე თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მათი ცხოვრებაში გატარება არ ხდება. სამწუხაროდ, მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, დეკლარაციით, კონვენციითა თუ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- ✓ დაბალი პოლიტიკური ნება და საკითხის არა პრიორიტეტულობა;
- ✓ არაპარამონიზებული კანონმდებლობა და რეგულაციების სისუსტე;
- ✓ გაუმართავი ინსტიტუციური მოწყობა;
- ✓ გამჭვირვალობის დაბალი დონე და მოსახლეობის ჩაურთველობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ✓ მწირი დაფინანსება და შეზღუდული შესაძლებლობები;
- ✓ თანამედროვე კვალიფიკაციის კადრების არყოფილება;



ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეროვნული სტრატეგიებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება ხდება არასრულყოფილად და ფორმალურად. თუ გადავხედავთ არსებულ მდგომარეობასა და ტენდენციებს ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა მიმართულებაში (სატყეო მეურნეობის რეფორმის მიმდინარეობა და მოდელი, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი, CITES⁶-ის დანართებში შეტანილი სახეობებით ვაჭრობა, “წითელი ნუსხის” სახეობების დაცვა და სხვ.) ვნახავთ, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო ევროპულ გამოცდილებასა და ევროკავშირის დირექტივებთან. ბიომრავალფეროვნების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობებში კერძო სექტორის ჩართვა მიჩნეულია პანაცეად და პრობლემების მოგვარების უნივერსალურ გზად. მეორეს მხრივ დავიწყებულა, რომ მართვის საკითხების კერძო სექტორისთვის გადაბარებით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს რეგულირების, კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციები. ერთი უკიდურესობიდან – როდესაც სახელმწიფოს ხელში (ხშირად ერთი უწყების) იყო სამეურნეო, მონიტორინგის, კადასტრის, კონტროლისა და კანონის აღსრულების ფუნქცია, ხდება მეორე უკიდურესობაში გადასვლა – როდესაც კერძო ინვესტორმა უნდა შეაფასოს თავისივე მოსაპოვებელი რესურსი და აწარმოოს თვითმონიტორინგი. ამ დროს, თითქოსდა ინვესტიციების მოზიდვის გამო ხდება ეკოსისტემური მიღვდის უგულებელყოფა. ბიომრავალფეროვნების რესურსების ლიცენზიების გაცემისას მთავარი კრიტერიუმია ინვესტორის შეთავაზებული ყველაზე მაღალი ფასი. საბოლოო ჯამში ვერ იქმნება რეალურად სახარბიელო საინვესტიციო გარემო, ვინაიდან ინვესტორს არ აქვს რეალური მონაცემები რესურსის რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ, ხოლო სალიცენზიო პირობები კი არაა ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი; შედეგად ინვესტორმა არ იცის, როდის და რისთვის მოეთხოვება პასუხისმგებლობა.

⁵ ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა - ძალაში შევიდა 2005 წლის 19 თებერვლის №27 მთავრობის დადგენილებით. დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის (შავი ზღვის აკვატორიის გარდა) ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენების სტრატეგიას მომავალი 10 წლისათვის და კონკრეტულ მოქმედებებს სუოწლიანი პერიოდისათვის.

⁶ CITES - კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის ველური სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, ანუ ვამინგტონის კონვენცია

საქართველო არაა ევროკავშირის წევრი ქვეყანა და არ არის ვალდებული შეასრულოს ყველა ღირებულება. წევრობის შემთხვევაშიც კი არ არის საჭირო რომელიმე ქვეყნის მოდელის პირდაპირი გადმოღება. მაგრამ, ჯერ ერთი, ევროკავშირის წევრობისათვის მზადება ნიშნავს იმას, რომ გარკვეულად მოამზადო შენი სტრუქტურები ამ გაერთიანებაში შესასვლელად. მეორეც, ხელმოწერილი პრინციპების შესრულება მხოლოდ წევრად გახდომისათვის კი არ არის საჭირო, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყო ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება. ევროკავშირის ქვეყნებმა გააცნობიერეს ამის საჭიროება და საკუთარი პასუხისმგებლობა, ხოლო ღირებულებები და სხვა რეგულაციები არის საშუალება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი მართვისათვის. ევროკავშირის ღირებულებების მოთხოვნების გაზიარება ხელს შეუწყობდა, როგორც მთავრობის მიზნის მიღწევას ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ისე ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გამოყენებას. თუნდაც CITES-ისა და ბიოუსაფრთხოების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის მიღება, ასევე NATURA 2000 ქსელის კანდიდატი ტერიტორიების წინასწარი შერჩევა და “ზურმუხტოვან ქსელში” (Emerald Network) ჩართვა (რამაც ევროპის ქვეყნებში უდიდესი პოზიტიური შედეგი ეკოსისტემების, განსაკუთრებით ტყეების შენარჩუნების თვალსაზრისით), მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნებოდა ამ მიმართულებით. ნატურა 2000 მნიშვნელოვანი იარაღია კონსერვაციისათვის, რის მნიშვნელობასაც სისტემატიურად ესმება ხაზი ევროკომისიისა და ევროპის ქვეყნების მთავრობების ოფიციალურ დოკუმენტებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნატურა 2000 საიტი არ ნიშნავს, რომ იქ აუცილებლად აიკრძალება ადამიანის საქმიანობა და შეიზღუდება შესვლა. ხშირ შემთხვევაში საიტები ხელს უწყობს ადამიანის ტრადიციულ საქმიანობას და წარმოქმნის ახალ სამუშაო ადგილებსა და შესაძლებლობებს.

ნატურა 2000-თვის ტყით დაფარული ტერიტორიების შერჩევის პროცესის გასაადვილებლად, ევროკავშირის წევრები და ევროკომისია შეთანხმდნენ გამოიყენონ შემდეგი კრიტერიუმები:

- ტყეები, რომლებიც შექმნილია ბუნებრივი სახეობებისაგან და ხასიათდებიან ბუნებრიობის მაღალი ხარისხით,
- მაღალი ხეებისგან შემდგარი ტყეები,
- ტყეები, სადაც წარმოდგენილია ასაკოვანი და მკვდარი ხეები,
- ტყეები, რომლებსაც დიდი ფართობი უკავიათ,
- ტყეები, რომელთაც მდგრადი მართვის შედეგად მოქონდათ სარგებელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 6,7% არის დაცული ტერიტორია და ამ მაჩვენებლით საკმაოდ ჩამორჩება

ევროპის ქვეყნებს. ეს მაშინ, როცა საქართველოს ბიომრავალფეროვნების ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნების. ამასთანავე არსებული ტერიტორიები მოითხოვენ მოდერნიზებას. მაგრამ დღეისათვის საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარება გაიგივებულია იქ ეკოტურიზმის განვითარებასთან, ხოლო მოდერნიზება – ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნასთან. დავიწყებულია დაცული ტერიტორიების შექმნის მთავარი დანიშნულება – ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, რომლის მხოლოდ თანამდევია და არა ძირითადი კომპონენტია ეკოტურიზმი. უცხო ქვეყნების გამოცდილება და ადგილობრივი საჭიროება აჩვენებს, რომ შესაძლებელია, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი (მართვა) ხორციელდებოდეს არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების ერთი უწყების მიერ, არამედ თვითმმართველობის ორგანოების, რეგიონული და ავტონომიური მთავრობების მიერაც.

ამდენად, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მართვისათვის მთავარია მის წინაშე არსებული პრობლემების ზუსტი ანალიზი და ქმედებებში ეკოსისტემური მიდგომის გამოყენება. უნდა თვალნათლივ იყოს გაცნობიერებული, რომ ტყე, ცალკეული კომერციული თვალსაზრისით ღირებული სახეობა, დაცული ტერიტორია პირველ რიგში ბიომრავალფეროვნების კომპონენტები არიან და არა ცალკეული სამეურნეო ობიექტები.

kvl eva Catarada "mwvane al ternativa"-s proeqtis "dial ogi pol itikaze ukeTesi garemosdacviTi mmarTvel obisTvis' fargl ebSi.

mwvane al ternativa madl obas uxdis hol andiis gansaxl ebis, sivrciTl dagegmvisa da garemos samin- istros finansuri mxardallertvis.

gamocemaSi gamoTqmuli mosazrebebi warmoadgens misi avtoris mosazrebebs, gamoxatavs "mwvane al- ternativa"-s pozicias da ar SeiZl eba ganxil ul iqnes hol andiis gansaxl ebis, sivrciTl dagegmvisa da garemos saministros Sexedul ebaTa amsaxvel ad.

